საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაშველი არხი

მაშველი არხი, საინჟინრო სარწყავი სისტემა წყალტუბოსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტებში. იწყება ქუთაისთან, მდ. რიონის მარჯვ. ნაპირზე და ჩადის მდ. გუბისწყალში. სიგრძე – 25,5 კმ, ხარჯი – 12 $მ^3$/წმ. მწყობრში ჩადგა 1924. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 1931. 1935 არხს შეუერთეს „საბჭოთა არხი''. მ. ა. რწყავს წყალტუბოს (13,9 ათ. ჰა) და სამტრედიის (1,8 ათ. ჰა) მუნიციპალიტეტების ტერიტორიებს.